



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 125

2017 წლის 11 სექტემბერი

ქ. თბილისი

2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში
დარეგისტრირებული პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანების მე-4 მუხლის მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტის, თორნიკე სხირტლაძის სამსახურებრივი ბარათის (N1031385, 8.09.2017წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2017 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში დარეგისტრირებული პროექტების დაფინანსება განისაზღვროს შემდეგი სქემით:

ა) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენციების, სეზონური სკოლების და კომბინირებული ღონისძიებების) მიმართულებით დაფინანსდეს მხოლოდ საუკეთესო, 41 და მეტი ქულის მქონე პროექტები (შეფასების შესაძლო მაქსიმალური 45 ქულის 91% და მეტი).

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა გადანაწილდეს კონფერენციებზე და კომბინირებულ ღონისძიებებზე შემდეგნაირად:

ბ.ა. კონფერენციებზე - 424,344 ლარი;

ბ.ბ. კომბინირებულ ღონისძიებებზე - 235,400 ლარი;

გ) საერთაშორისო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტიდან ნაშთის სახით დარჩენილი თანხა (17,856 ლარი) გადატანილ იქნას მობილობის გრანტების მიმართულებით 19 და 20 ქულის შეფასების მქონე პროექტების დასაფინანსებლად.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

ნინო გაჩეჩილაძე



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი